ეროვნული სამეცნიერო
ბიბლიოთეკა

Google Scholar-ში ციტირების მაჩვენებლების მოძიება:

ავტორის პროფილის შექმნისა და მართვის ინსტრუქცია

Google Scholar-ში საკუთარი ბიბლიომეტრიული მაჩვენებლების სანახავად საჭიროა **ავტორის პროფილის შექმნა და მასში თქვენი სამეცნიერო პუბლიკაციების დამატება.** სწორად შექმნილი და განახლებული პროფილი საშუალებას გაძლევთ აკონტროლოთ თქვენი ნაშრომების ციტირების რაოდენობა და ძირითადი ბიბლიომეტრიული მაჩვენებლები, მათ შორის h-index და i10-index.

პროფილის შესაქმნელად, პუბლიკაციების დასამატებლად და ციტირების მაჩვენებლების სამართავად მიჰყევით ქვემოთ მოცემულ ინსტრუქციას:

1. Google Scholar-ში შესვლა

გახსენით https://scholar.google.com/ და ზედა მარცხენა კუთხეში დააჭირეთ **"My profile-ს"**. შედით იმ Google/Gmail ანგარიშით, რომლის სახელზეც გსურთ მკვლევრის პროფილის შექმნა. Google Scholar-ის პროფილი Google ანგარიშზეა მიბმული.



2. შეამოწმეთ, ხომ არ გაქვთ უკვე პროფილი

ახალი პროფილის შექმნამდე მოძებნეთ თქვენი სახელი და გვარი Google Scholar-ის საძიებო ველში. თუ უკვე არსებობს თქვენი პროფილი, უმჯობესია ის გამოიყენოთ და დუბლიკატი არ შექმნათ.



3. პროფილის შექმნა და მონაცემების შევსება

“My Profile”-ზე დაწკაპების და ავტორიზაციის გავლის შემდეგ გამოგიჩნდებათ შემდეგი შესავსები ველები:

Name – სახელი და გვარი

Affiliation – უნივერსიტეტი/კვლევითი ორგანიზაცია, პოზიცია

Areas of interest – კვლევის ძირითადი სფეროები

Homepage – სურვილის შემთხვევაში პირადი ან ინსტიტუციური გვერდი



მიყევით და შეავსეთ: სახელი, გვარი (**რომელიც მაქსიმალურად უნდა ემთხვეოდეს იმ ფორმას, რომლითაც თქვენი ნაშრომები ქვეყნდება**), თქვენი აფილაცია/ორგანიზაციის დასახელება და პოზიცია, ელ.ფოსტის მისამართი და კვლევის სფეროები.



მონაცემების შევსების შემდეგ, **"NEXT"** ღილაკის დახმარებით გადადიხართ მომდევნო გვერდზე. Google Scholar ხშირად პოულობს თქვენს ნაშრომებს და გთავაზობთ მათ პროფილში დასამატებლად.



ყურადღებით შეამოწმეთ ნაშრომების სათაურები და ავტორები. თუ შემოთავაზებული ჩამონათვალი ნამდვილად თქვენ გეკუთვნით, მხოლოდ იმ შემთხვევაში მონიშნეთ "√" ისინი და "**Done**" ღილაკის დახმარებით დაამატეთ თქვენს პროფილში. აქვე, ყურადღება მიაქციეთ სხვა შემოთავაზებულ ფუნქციებსაც და მონიშნეთ თქვენთვის სასურველი.



შენიშვნა: თუ სახელის რამდენიმე ფორმით გაქვთ პუბლიკაციები გამოქვეყნებული, ყველა ვარიანტი შეამოწმეთ.

4. კონკრეტული ნაშრომის მოძებნა და დამატება პროფილზე

თუ სტატია თავდაპირველად შემოთავაზებულ სიაში არ ჩანს, გამოიყენეთ ძებნა. Google Scholar-ის პროფილში სტატიის დასამატებლად პირველ რიგში შედით საკუთარ პროფილზე. სტატიების ჩამონათვალის ზემოთ დააჭირეთ "+" ღილაკს. ღილაკზე დაჭერის შემდეგ აირჩიეთ "**Add articles**".



ამის შემდეგ, გამოჩნდება საძიებო ველი, რომელშიც შეგიძლიათ ჩაწეროთ:

- **სტატიის სრული სათაური**; ან
- **ავტორის სახელი და გვარი**; ან
- **საკვანძო სიტყვა ან სტატიის სათაურის ნაწილი**



ყველაზე ზუსტი შედეგისთვის სასურველია სტატიის **სრული სათაური ბრჭყალებში** ჩაწეროთ. თუ ნაპოვნი სტატია ნამდვილად თქვენ გეკუთვნით, მონიშნეთ მის გვერდით არსებული **მოსანიშნი ველი** "✓" და შემდეგ დააწკაპეთ დამატების "✓" ღილაკს.



5. ნაშრომის ხელით დამატება

Google Scholar-ის პროფილში შესაძლებელია ნაშრომების ხელით დამატებაც, რაც საშუალებას გაძლევთ, პროფილზე სრულად ასახოთ თქვენი პუბლიკაციები. თუმცა, თუ ნაშრომი **Google Scholar-ის საძიებო სისტემაში არ იძებნება**, ეს ნიშნავს, რომ იგი Google Scholar-ის მიერ არ არის ინდექსირებული. ასეთ შემთხვევაში ნაშრომის პროფილში ხელით დამატება **არ ნიშნავს მის ინდექსირებას**. შესაბამისად, ხელით დამატებული, მაგრამ არაინდექსირებული ნაშრომი **Google Scholar-ში მისი ციტირების მაჩვენებლებზე გავლენას ვერ მოახდენს**.

Google Scholar-ში საერთოდ არ იძებნება, გამოიყენეთ სტატიების ჩამონათვალის ზემოთ არსებული "+" ღილაკი და აირჩიეთ "**Add article manually**".

ამის შემდეგ, აირჩიეთ **ნაშრომის შესაბამისი ტიპი** ჩამონათვალიდან (*Journal, Conference, Chapter, Book, Thesis* და სხვა.) ნაშრომის ტიპის არჩევის შემდეგ შეავსეთ შესაბამის ველებში მისი **სრული და ზუსტი ბიბლიოგრაფიული მონაცემები**. შემდეგ დააწკაპეთ დამატებას "✓".



6. სხვისი ან არასწორი ნაშრომების წაშლა

სახელის დამთხვევის გამო Google Scholar-მა შეიძლება სხვა მკვლევრის ნაშრომიც შემოგთავაზოთ. ასეთი ჩანაწერი პროფილში არ უნდა დატოვოთ, რადგან ის თქვენს პუბლიკაციებსა და მეტრიკებს აურევს.

შეამოწმეთ ავტორები

შეამოწმეთ კვლევის თემა

შეამოწმეთ ორგანიზაცია/უნივერსიტეტი

არასწორი ნაშრომი მონიშნეთ **"✓"**, გამოგიჩნდებათ **"Delete"** ღილაკი და მისი დახმარებით მარტივად წაშლით სხვის ნაშრომს თქვენი პროფილიდან.



7. პროფილის “Public”-ზე გადაყვანა

თუ გსურთ, რომ კოლეგებმა და სხვა მკვლევრებმა თქვენი Google Scholar-ის პროფილი იპოვონ, გამოაჩინეთ საჯაროდ. “Public”-ზე გადაყვანამდე გადაამოწმეთ ყველა ნაშრომი და კიდევ ერთხელ დარწმუნდით თქვენი პროფილის სიზუსტეში. შემდეგ შედით თქვენს პროფილზე, სახელისა და გვარის გასწვრივ იპოვეთ “Edit” ღილაკი, დააჭირეთ, ქვემოთ აირჩევთ **“Make my profile public”** და შეინახავთ **“SAVE”** ღილაკის დახმარებით.



8. Citations, h-index და i10-index

პროფილის მთავარ გვერდზე Google Scholar აჩვენებს თქვენი პუბლიკაციების ციტირების ინდექსებს ინდივიდუალურად და დაჯამებულად **(Citations),** ასევე, **h-index-ს** და **i10-index-ს.**

Google Scholar ავტომატურად აახლებს ავტორის პროფილზე ნაჩვენები ციტირების რაოდენობას, h-index-სა და i10-index-ს. შესაბამისად, ამ მაჩვენებლების ხელით განახლება საჭირო არ არის.

ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ **ავტორის პროფილზე ასახული იყოს Google Scholar-ის მიერ ინდექსირებული ყველა მისი ნაშრომი (ნებისმიერ ენაზე შესრულებული).**

პერიოდულად გადაამოწმეთ პროფილზე პუბლიკაციების ჩამონათვალი და დარწმუნდით, რომ ყველა შესაბამისი ნაშრომი სწორად არის დამატებული და დაკავშირებული თქვენს პროფილთან. ეს ხელს უწყობს თქვენი ციტირების მაჩვენებლების სრულყოფილად ასახვას.



9. G-ინდექსის გამოთვლა

Google Scholar-ის ავტორის პროფილზე G-index არ გამოითვლება და არ აისახება. თუ გსურთ, თქვენი ნაშრომების ციტირების მონაცემების საფუძველზე g-index-ის გამოთვლაც, ამის გაკეთების **მარტივი გზაა** ინტერნეტში ხელმისაწვდომი სპეციალური ონლაინ კალკულატორები და პროგრამები.

მაგალითად, შეგიძლიათ გამოიყენოთ პროგრამა https://calculator.academy/g-index-calculator/ შესაბამის ველში, შეიყვანეთ კონკრეტულ ბაზაში (მაგ. Google scholar-ში) თქვენი **თითოეული** ნაშრომის ციტირების რაოდენობები, კლებადობის მიხედვით. მაგალითად: **10, 10, 9, 7, 5, 3, 2...**, და დააწკაპეთ **"Calculate"** ღილაკს. შედეგი ავტომატურად გამოითვლება.

ნიმუში იხილეთ ქვემოთ


Calculator Academy
Search for any Calculator
Last used:
G Index
Calculator
Your Site
Create a New Calculator
Citations per publication (required)
10, 10, 9, 7, 5, 3, 2
One number per paper, separated by commas, spaces or line breaks. Any order works – papers are sorted highest to lowest for you. Include papers with 0 citations.
Advanced options +
Calculate
Reset
Describe the change you want to make or feature that is missing
Customize Calculator
YOUR G-INDEX
g = 6
Your top 6 papers hold 44 citations in total, meeting the 6 squared = 36 threshold.
Papers entered 7
Total citations 46
Mean citations per paper 6.57

ⓘ დამატებითი კითხვების შემთხვევაში დაგვიკავშირდით შემდეგ ელ.ფოსტაზე: **metrics@sciencelib.ge**

ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა